FALSE SLEEVE GARMENTS IN THE HISTORY OF GEORGIAN CLOTHING[1]

ცრუსახელოიანი სამოსი ქართული კოსტიუმის ისტორიაში[2]

NINO DATUNASHVILI
Doctor of Ethnology
Senior Specialist of The Georgian National Museum
3, Rustaveli Ave, 0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 577 44 04 84
E-mail: Nino.museum@gmail.com
ORCID:0009-0004-7762-4345

Abstract

The aim of the present work is to study one of the oldest constituent elements of the costume

of the Georgian nobles - the false sleeve garment.

This is the first attempt, by means of interdisciplinary research, to present the types of clothes with false sleeves in a historical perspective, to follow their changes during the 6th-19th centuries and to get to know their symbolic essence.

The main characteristic detail of this type of clothing is the long sleeve, which was not meant to be worn and was a distinguishing mark of the nobles. In Georgian reality, false sleeves are confirmed on capes, cloaksand dresses. The term "false sleeves" itself is not found in the historical sources and itcan be said that it is an ethnographic attainment that accurately determines the functional purpose of thementioned element.

The emergence of a garment with false sleeves in the Georgian costume set is related to the same oriental world. We still find its first examples on the reliefs of Achaemenid Iran. The terracotta figures of Anahita, the female goddess of fertility, found as a result of archeological discoveries in the centers of the ancient civilization of Central Asia (Khorezm, Sogdiana, Margiana) are also presented with such capes. We see similar samples in the painting of Balalik-Tepe (6th century) and Penjiket (7th -8th century).

This type of clothing appears in the costume set of Georgian noblemen from the 6th century in the form of a cape with false sleeves and is fixed until the 11th century. We suppose that from the 11th to the 15th century, it's no longer in use as we have only one existing material, the lower area of a woman image with false sleeve cloak is remained in the paintings of the 13thcenturychurch of the Castle of Kavkasidzes. In the 15th century, slightly modified it occurred again and remained as an integral element of Georgian clothing until the end of the 19th century. In 10th century, along with

[1] The research was carried out within the framework of the project - ``History of Georgian Clothes (5th-18th cc)`` with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (Grant - YS-21-165).

[2] კვლევა განხორციელდა პროექტის - „ქართული სამოსის ისტორია V-XVIII სს " ფარგლებში , შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი YS-21-165).

capes, there are three types of dresses with false sleeves. At the turn of the 13th -14th centuries, the fourth type is a double-sleeved dress.And in the 16th century, the fifth type - a sleeveless slit and a false sleeve under the armpit.In the 16th century, there arealso two types of clothes with false sleeves.

The political, socio-economic and cultural situation in the country, as well as the issues of the country's foreign orientation and contacts with the surrounding world, played an important role in shaping the appearance of the clothes. Accordingly, the peculiarity of each era left a certain mark on the appearance of the clothes. A clear example of this is a garment with false sleeves.

Key Words: False Sleeve; Clothing; a dress; Monumental painting; a lay person; Ornamen;

ნინო დათუნაშვილი
ეთნოლოგიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი სპეციალისტი
რუსთაველის 3, 0105 ქ. თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 577 44 04 84
ელ.ფოსტა: Nino.museum@gmail.com
ORCID:0009-0004-7762-4345

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ქართველ დიდგვაროვანთა კოსტიუმის ერთ-ერთი უძველესი შემადგენელი ელემენტის - ცრუსახელოიანი სამოსის შესწავლას.

ეს გახლავთ პირველი ცდა, ინტერდისციპლინალური კვლევის საშუალებით, ისტორიულ ჭრილში წარმოვაჩინოთ ცრუსახელოიანი სამოსის ტიპები, თვალი მივადევნოთ მის სახეცვლილებას VI-XIX სს-ის მანძილზე და გავეცნოთ მათ სიმბოლურ არსს.

ამ ტიპის სამოსის მთავარ სახასიათო დეტალს გრძელი სახელო წარმოადგენს, რომელიც ხელის გასაყრელად არ იყო განკუთვნილი და დიდგვაროვანთა ერთგვარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა. ქართულ რეალობაში ცრუსახელოები დადასტურებულია მოსასხამებზე, მოსაცმელებზე და კაბებზე. თავად ტერმინი „ცრუსახელოები“ ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება და შეიძლება ითქვას ეთნოგრაფიული მონაპოვარია, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს აღნიშნული ელემენტის ფუნქციურ დანიშნულებას.

ქართული კოსტიუმის კომპლექტში ცრუსახელოიანი სამოსის გაჩენა იმთავითვე აღმოსავლურ სამყაროს უკავშირდება. მის პირველ ნიმუშებს ჯერ კიდევ აქემენიდური ირანის რელიეფებზე ვხვდებით. შუა აზიის ძველი ცივილიზაციის კერებში (ხორეზმი, სოგდიანა, მარგიანა) არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მოპოვებული ნაყოფიერების ქალ-ღვთაება ანაჰიტას ტერაკოტული ფიგურებიც, ასეთი სახის მოსასხამებით წარმოგვიდგებიან. მსგავს ნიმუშებს ვხედავთ ბალალიკ-ტეპესა (VI ს.) და პენჯიკეტის (VII-VIII სს.) მხატვრობაშიც .

ქართველ დიდგვაროვანთა კოსტიუმის კომპლექტში სამოსის ეს სახეობა VI ს-დან ჩნდება ცრუსახელოიანი მოსასხამის სახით და XI ს-მდე ფიქსირდება. XI ს-დან XV ს-მდე კი

სავარაუდოდ გამოდის ხმარებიდან, ვინაიდან მისი არსებობა ფაქტობრივი მასალით, აღნიშნულ პერიოდში, მხოლოდ ერთი შემთხვევით დასტურდება - კავკასიძეების ციხის XIII ს-ის II ნახევრის ეკლესიის მოხატულობაში შემორჩენილი ქალის გამოსახულების წელს ქვედა არე, ცრუსახელოიანი მოსასხამითაა წარმოდგენილი. XV ს-ში, სამოსის ეს სახეობა კვლავ ბრუნდება რამდენადმე სახეცვლილი სახით და XIX ს-ის ბოლომდე ქართული სამოსის განუყოფელი ელემენტია.

X ს-ში მოსასხამების პარალელურად ცრუსახელოიანი კაბის სამი ტიპი იკვეთება. XIII-XIV სს-ის მიჯნაზე ფიქსირდება მეოთხე ტიპი - ორმაგსახელოიანი კაბისა. XVI ს-ში კი დამოწმებულია მეხუთე ტიპი - ხელის გასაყრელი უსახელო ჭრილითა და იღლიის ქვეშ დაშვებული ცრუ სახელოთი.

XVI ს-ში ჩნდება ასევე, ორი სახის ცრუსახელოიანი მოსაცმელიც.

სამოსის იერსახის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობდა, როგორც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, ასევე ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხები და კონტაქტები გარემომცველ სამყაროსთან. შესაბამისად, ყოველი ეპოქის თავისებურება გარკვეულ კვალს ტოვებდა სამოსის იერსახეზე. ამის ნათელი მაგალითია სწორედ ცრუსახელოიანი სამოსი.

საკვანძო სიტყვები: ცრუსახელოიანი; მოსასხამი; კაბა; მონუმენტური მხატვრობა; საერო პირი; ორნამენტი;

შესავალი

სამოსი, ამა თუ იმ ერის ეთნოკულტურის განუყოფელი ნაწილია. ის წარმოაჩენს ეროვ-ნულ ხასიათს, სულიერ კულტურას, ადამიანთა ცხოვრების წესსა და მათ სოციალურ მდგომარეობას. მასში განსაკუთრებით ნათლად არის ასახული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხები, კონტაქტები გარემომცველ სამყაროსთან და ეპოქისმიერი მსოფლმხედველობა. შესაბამისად, ყოველი ეპოქის თავისებურება გარკვეულ კვალს ტოვებდა სამოსის იერსახეზე.

ამის ნათელი მაგალითია ქართული კოსტიუმი, რომელმაც V-XIX სს-ის მანძილზე არაერთი ცვლილება განიცადა.

ჩვენს ყურადღებას, ამჯერად ცრუსახელოიან სამოსზე შევაჩერებთ. აღნიშნული საკითხი დღემდე არ გამხდარა ფუნდამენტური კვლევის საგანი. ეს გახლავთ პირველი ცდა ისტორიულ ჭრილში წარმოვაჩინოთ ცრუსახელოიანი სამოსის ტიპები VI-XIX სს-ის მანძილზე და გავეცნოთ მათ სიმბოლურ დანიშნულებას.

კოსტიუმის კვლევისას უპირველესი ყურადღება ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ ტანსაცმელს ენიჭება, მაგრამ ეს ძირითადად XIX-XX საუკუნეების ამსახველი მასალაა და შესაბამისად სრულად ვერ წარმოაჩენს საუკუნეთა სიღრმეში არსებულ შემოსვის ტრადიციებს.

აღნიშნული საკითხის შესწავლასა და მის რეკონსტრუქციაში მნიშვნელოვანი როლი წერილობით წყაროებში დაცულ ინფორმაციასა და ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშებზე -

რელიეფებზე, მონუმენტური მხატვრობის ძეგლებზე, ხატებზე, ნაქარგობასა და ხელნაწერთა დასურათებაში არსებულ ისტორიულ პირთა გამოსახულებებს ენიჭება. ასევე, საქართველოს მუზეუმების კოლექციებში დაცულ, კოსტიუმის ისტორიასთან დაკავშირებულ არტეფაქტებს.

ისტორიული პირების პორტრეტები ძირითადად დიდებულთა შემოსვის ტრადიციას ასახავს. ყველაზე ადრეული ნიმუშები რელიეფური ხელოვნების ძეგლებზე - სტელებსა და ტაძრების საფასადო რელიეფებზე გვხვდება. უმეტესწილად მამაკაცთა გამოსახულებების სახით. პორტრეტების სიმრავლით კი XVI-XVII საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის ძეგლები გამოირჩევა.

მეთოდები

წინამდებარე კვლევა ინტერდისციპლინალური ხასიათისაა. კვლევისას გამოყენებულია როგორც ეთნოლოგიური, ასევე სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდები. ეთნოლოგიური კვლევის მეთოდებიდან მოხმობილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შედარებით-ისტორიული და ფოტოგრაფირების მეთოდი. საკვლევ თემასთან მიმართებაში, შევისწავლეთ წერილობით წყაროებში, უცხოელ მოგზაურთა რელაციებსა და ჩანაწერებში არსებული ცნობები. გავეცანით სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას. გამოვიყენეთ სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედარებითი ანალიზის მეთოდი. მოძიებული ინფორმაცია შევუდარეთ ქართული ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე წარმოდგენილ საერო პირთა პორტრეტებსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ მატერიალური კულტურის ნიმუშებს. ასევე გამოვიყენეთ სტილისტურ-ტიპოლოგიური და სისტემატიზაციის მეთოდები.

შედეგები

კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა ქართული კოსტიუმის შემადგენელი ერთ-ერთი უძველესი ელემენტი - ცრუსახელოიანი სამოსი. პირველად, ინტერდისციპლინალური კვლევის საშუალებით ისტორიულ ჭრილში წარმოვაჩინეთ ცრუსახელოიანი სამოსის ტიპები, თვალი მივადევნეთ მის სახეცვლილებას VI-XIX სს-ის მანძილზე. განვიხილეთ, სამოსის ცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორები. კვლევაში ჩართულია ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, კავკასიძეების ციხის ეკლესიის XIII ს-ის II ნახევრის მხატვრობაში, ფრაგმენტულად შემორჩენილი, ახლად აღმოჩენილი საქტიტორო პორტრეტი და რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კლდისუბნის ღვთისმშობლის ეკლესიაში (IX-X სს) დაცული, ასევე, ახლად აღმოჩენილი რელიეფი საერო პირის პორტრეტით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამი ტიპის ცრუსახელოიანი სამოსი - მოსასხამების, მოსაცმელებისა და კაბების სახით. კაბები თავის მხრივ ხუთ ქვეტიპად დაიყო. კვლევის შედეგად ნაწილობრივ შეივსო ქართული სამოსის ისტორია.

დისკუსია

ცრუსახელოიანი სამოსის მთავარ სახასიათო დეტალს გრძელი სახელო წარმოადგენს, რომელიც ხელის გასაყრელად არ იყო განკუთვნილი და დიდგვაროვანთა ერთგვარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა. ქართულ რეალობაში ცრუსახელოები

დადასტურებულია მოსასხამებზე, მოსაცმელებზე და კაბებზე. თავად ტერმინი „ცრუსახელო“ ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება და შეიძლება ითქვას ეთნოგრაფიული მონაპოვარია, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს აღნიშნული ელემენტის ფუნქციურ დანიშნულებას.

ქართული კოსტიუმის კომპლექტში ამ ტიპის სამოსის გაჩენა იმთავითვე აღმოსავლურ სამყაროს უკავშირდება. მის პირველ ნიმუშებს ჯერ კიდევ აქემენიდური ირანის რელიეფებზე ვხვდებით. მთიანი ალტაის ყორღანებში კი ამგვარი ტიპის სამოსიცაა აღმოჩენილი (Руденко, 1952: 94).

ქართველ დიდგვაროვანთა კოსტიუმის კომპლექტში სამოსის ეს სახეობა VI ს-დან ჩნდება ცრუსახელოიანი მოსასხამის სახით და XI ს-მდე ფიქსირდება. XI ს-დან - XV ს-მდე კი სავარაუდოდ გამოდის ხმარებიდან, ვინაიდან მისი არსებობა ფაქტობრივი მასალის მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში, მხოლოდ ერთი შემთხვევით დასტურდება - კავკასიძეების ციხის XIII ს-ის II ნახევრის ეკლესიის მოხატულობაში, ახლად აღმოჩენილი ქალის ფრაგმენტულ ფიგურას, სავარაუდოდ სწორედ ცრუსახელოიანი მოსასხამი უნდა ცმოდა. XV ს-ში, სამოსის ეს სახეობა კვლავ ბრუნდება რამდენადმე სახეცვლილი სახით და XIX ს-ის ბოლომდე ქართული კოსტიუმის განუყოფელ ელემენტად რჩება.

X ს-ში მოსასხამების პარალელურად ცრუსახელოიანი კაბის სამი ტიპი იკვეთება. XIII-XIV სს-ის მიჯნაზე მეოთხე ტიპი - ორმაგსახელოიანი კაბა ემატება. ხოლო, XVI ს-ში ფიქსირდება მეხუთე ტიპი - ხელის გასაყრელი უსახელო ჭრილითა და იღლიის ქვეშ დაშვებული ცრუ სახელოთი.

XVI ს-ში ჩნდება ასევე ორი სახის ცრუსახელოიანი მოსაცმელი.

VI-X სს-ში რელიეფური ხელოვნების ძეგლებზე ცრუსახელოიანი მოსასხამებით მხოლოდ მამაკაცები წარმოგვიდგებიან. გამოსახულებების მიხედვით, წელზე მომდგარ და ქობისკენ გაფართოებულ მოსასხამებს კაბის ზემოთ, ზოგჯერ საკინძის საშუალებით შუაში ან მარჯვენა მხარზე შეკრული სახით ატარებდნენ. მხარზე შეკვრის მაგალითს ვხედავთ მაგ., დმანისისა[3] (VI ს.) (სურ. 1) და ხანდისის სტელებზე[4] (VI ს.). შუაში შეკვრის წესს კი მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილ ქართლის ერისმთავართა გამოსახულებებზე ვხვდებით. უმეტესად, მოსახამებს საკინძის გარეშე, თავისუფლად მოსხმული სახით ატარებდნენ. ამის მაგალითია უკანგორის სტელის კაპიტელის[5] (VI ს.) ფრაგმენტებზე შემორჩენილი გამოსახულებები; რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძრის (VII-VIII სს) საფასადო რელიეფზე მუხლმოდრეკილი მამაკაცის ფიგურა (ჩიტიშვილი, 2013: 292-293), კუმურდოს ტაძრის (X ს) გუმბათქვეშა ტრომპზე, აფხაზეთის მეფე ლეონ III-ის გამოსახულება (იხ. ფოტო. დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017: 189) და სხვ.

მოსასხამი კაბასთან შედარებით მოკლეა. ვიწრო, ცრუ სახელო უმეტესწილად ქობამდე ჩაუდის და ქვემოთ მცირეოდენ ფართოვდება. მისი კიდეები მოოლვილია - ოთხკუთხედების, რომბისებრი ბადისა თუ სხვა ორნამენტისაგან შემდგარი არშიით. მსგავს

[3] შასხსმ, არქიტექტუტული ფრაგმენტების (ქვის, ხის) ფონდი, საინვ #105.

[4] სტელა დაცულია გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ სამეცნიერო ცენტრში. (იხ. ფოტო, დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017: 79).

[5] სჯსსსმ, ქვის ძეგლების ფონდი, საინვ.##712; #732 . (იხ. ფოტო, დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017: 89).

ნიმუშებს ვხედავთ დმანისისა (VI ს.) და სამწევრისის სტელაზე[6] (VI ს.) გამოსახულ საერო პირთა პორტრეტებზე. ასევე, ხანდისის სტელაზე (VI ს.) წმ. გიორგისა და წმ. კვირიკეს გამოსახულებებზე. უკანგორის (VI ს.) სტელის[7] ფრაგმენტზე კი სახელო თეძომდე სიგრძისაა და მოოლვილი ყოში მცირეოდენ წაწვეტებულია.

განსხვავებული ფორმისაა მცხეთის ჯვრის ტაძრის საფასადო რელიეფებზე (VI-VII სს. მიჯნა) წარმოდგენილ ქტიტორთა - ქართლის ერისმთავართა მოსასხამების ცრუ სახელოები (სურ. 2). შუა არეში შევიწროებულია, ძირისკენ კი ფართოვდება. მოსასხამის კიდეები, მკლავსა და ყოშთან არე, ერთმანეთზე გადაბმული ოთხფურცლიანი ყვავილებიანი არშიითაა მოოლვილი. ასეთივე საოლველი მიუყვება ქობის კიდეებს. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით მოსასხამების ძვირფასი სამკაული შესაძლოა ლითონისა იყოს - „ნაკერები ირგვლივ ისეთ შთაბეჭდილებასა სტოვებს, რომ ლითონისა უნდა იყოს. ზოგან მარგალიტი ან მძივებიც არის. საუცხოო და ძვირფასი წამოსასხამები ყოფილა“ (ჯავახიშვილი, 1962: 6). ჩვენის აზრით, ეს შემკულობა უფრო ოქრონემსული სამკაული უნდა იყოს.

X ს-ში მოსასხამებისათვის დამახასიათებელია მთელ სიგრძეზე თანაბარი სისქის ცრუ სახელო. ამის მაგალითია, ზემოთხსენებული ლეონ III-ის გამოსახულება, ზეგანის (ზაქის) ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის ტიმპანზე უცნობი ქტიტორის ფიგურა (იხ. ფოტო. დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017: 131) და სხვ.

ამ პერიოდის თვალსაჩინო ნიმუში ტბეთის ღვთისმშობლის ტაძრის საფასადო რელიეფმა[8] შემოგვინახა. საზეიმო მოსასხამით წარმოდგენილი მამაკაცის ფიგურა ბოლო დრომდე ერისთავთ-ერისთავ აშოტ III კუხთან იგივდებოდა (სურ. 3). გ. გაგოშიძის მოსაზრებით ტბეთის რელიეფზე გამოსახული უნდა იყოს X ს-ის II ნახევარში მცხოვრები ბაგრატიონთა კლარჯული შტოს რომელიმე წარმომადგენელი (გაგოშიძე, ჩიხლაძე, 2006: 74). პირველად, სწორედ ამ გამოსახულებაზე ვხედავთ სახიან, ცრუსახელოიანი მოსასხამის ნიმუშს. ქსოვილის სახეს კუდაწეული ლომების გამოსახულებები ქმნის. ამ ქსოვილს შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული ტერმინი „ლომოანი“ ესადაგება. ნიკორწმინდის XI ს-ის სიგელში ნათქვამია: „ივანე ლიპარიტის (ძემან შემოსწირა) სტავრაი ლომოანნ (sic) ბერძნ...“ (ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 1897: 44). კ. მაჩაბელის აზრით, ქსოვილზე არსებული გამოსახულებების გადმოცემის მანერა სრულიად განსხვავდება როგორც აღმოსავლეთში, ასევე ბიზანტიაში გავრცელებული ნიმუშებისაგან და ოსტატმა ის შესაძლოა ადგილობრივი, ქართული ნიმუშების მიხედვით შექმნა (მაჩაბელი, 2013: 120-122). ცრუსახელოიანი მოსასხამი შუაში ჩახსნილია, მაღალი საყელო კისერს ებჯინება, ქობაზე კი ნაკეცები აღინიშნება. მოსასხამის მარჯვენა კალთის შიდა კიდის ცენტრიდან შესაკრავის ვიწრო, გრძელი თასმა მუხლამდე ეშვება, ბოლოში ფართოვდება და სამკუთხედისებრი ფორმით სრულდება.

X ს-ში, როგორც აღვნიშნეთ, მოსასხამების გვერდით სამი ტიპის ცრუსახელოიანი კაბის ნიმუში იკვეთება. მათ შორის ორი ტიპის ნიმუში X ს-ის ატენის სიონის აღმოსავლეთი ფასადის რელიეფებმა შემოგვინახა: პირველი ტიპი - კოჭებამდე სიგრძის სწორი, სადა ქსოვილის კაბაა, რომლის ცრუ სახელო თითქმის ქობის საოლველამდე მიუდის. მხრებზე

[6] სამწევრისის სტელაზე გამოსახულებები ძლიერ არის დაზიანებული. შემორჩენილი დეტალები აქაც ცრუსახელოიანი მოსასხამის არსებობას გვაფიქრებინებს. (იხ. ფოტო, დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017: 84).

[7] სჯსსსმ, ქვის ძეგლების ფონდი, საინვ.#378. (იხ. ფოტო, დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, თ., 2017: 83).

[8] შასხსმ, არქიტექტუტული ფრაგმენტების (ქვის, ხის) ფონდი, საინვ #173

მიდევნებული, წრიული ორნამენტისაგან შემდგარი საოლველი გულისპირის ცენტრში სწორხაზოვნად ეშვება, რომელზეც სამი მსხვილი ღილი აღინიშნება. ასეთივე, ფართე არშია შემოსდევს ცრუ სახელოებსა და ქობასაც (სურ. 4).

მეორე ტიპის -კოჭებამდე სიგრძის, სწორი კაბა, შუაში მთელ სიგრძეზე ჩახსნილია. სწორი, ცრუ სახელოები ძირამდე მიუდის. მხრების არესა და კიდეებს ტეხილი ჩაკვეთილი ხაზებისაგან შემდგარი ორნამენტირებული არშია შემოსდევს, სახელოებს კი ერთიმეორეზე გადაბმულ ორ წრეში ჩაწერილი ოთხფურცელა თითო ყვავილი. წელზე ქამარი აქვს შემორტყმული (სურ. 5).

მესამე ტიპის კაბის საინტერესო ნიმუშია მოცემული რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კლდისუბნის ღვთისმშობლის ეკლესიაში (IX-X სს) დაცულ, ახლად აღმოჩენილ რელიეფის ფრაგმენტზე[9]. პირველადი დაკვირვების მიხედვით რელიეფი X საუკუნისაა. მასზე წარმოდგენილ მამაკაცს კოჭებამდე სიგრძის ერთიანი კაბა აცვია. ცრუ სახელოების სიგრძე მუხლებამდე მიუდის. ორივე ხელი კი იღლიის მიმდებარე ჭრილში აქვს გაყრილი (სურ. 6).

XIII-XIV სს-ის მიჯნაზე ჩნდება, მეოთხე ტიპის - ორმაგსახელოიანი კაბის ნიმუში. ამის მაგალითია ხობის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გამოსახული შერგილ დადიანის მეუღლის ფიგურა[10] (სურ. 7). მას კაბის მოკლე სახელოში ხელი აქვს გაყრილი, მეორე, ცრუ სახელო კი იღლიის ქვეშ ეშვება. შუაში მთელ სიგრძეზე ჩაჭრილი კაბა წითელთვლიანი 12 ოქროსფერი ღილით იკვრება. შიდა კიდეებს მუხლამდე, ოქროსფერი და მეწამულისფერი კონტურით გამოყვანილი სტილიზებული მცენარეული ორნამენტი მიუყვებოდა.

ვფიქრობთ, ასეთივე კაბებით არიან შემოსილები XIV ს-ის ლაშთხვერის, მხერის გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესიაში მიქელ იველდიანისა და მისი ვაჟის მეუღლეები. მოკლე სახელოს, სავარაუდოდ მხრებზე დაფენილი თავსაბურავი ფარავს და მხოლოდ გრძელი, ჩამოშვებული ცრუ სახელო ჩანს (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 265).

მსგავსია, მეხუთე ტიპის კაბაც, მხოლოდ ამ შემთხვევაში ხელის გასაყრელი ჭრილი უსახელოა, ცრუ სახელო კი აქაც იღლიის ქვეშ ეშვება. მისი თვალსაჩინო ნიმუში XVI ს-ის ნეკრესის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაშია მოცემული. ლევან კახთა მეფეს, მის მეუღლესა და შვილს ერთნაირი თარგის, კოჭებამდე სიგრძის, შუაში სავარაუდოდ, მთელ სიგრძეზე ჩაღილული, სახიანი ქსოვილის კაბები აცვიათ. ხელი უსახელო ჭრილში აქვთ გაყრილი, იღლიის ქვეშ დაშვებული ცრუ სახელო კი კაბის ძირამდე ეშვება. კაბის ქობას სამეფო ბისონებისთვის დამახასიათებელი ოქროსფერი საოლველი მიუყვება. ლევან მეფეს კაბის გულისპირი გადახსნილი აქვს და ნაცრისფერი სარჩულის მხრიდან იშლება. მეწამულისფერი კაბის ქსოვილის სახეს, ერთიმეორეზე გადაბმულ, ოქროსფერი კონტურით გამოყვანილ წრეებში ჩაწერილი ორთავა არწივები ქმნის. ორთავა არწივი გამოისახებოდა ტრაპიზონის იმპერიის - კომნენოსთა დინასტიისა და ბიზანტიის იმპერიის ბოლო დინასტიის პალეოლოგოსთა პერიოდის გერბებზე. მათი გამოსახულება ასევე ხშირად გვხვდება ბიზანტიის იმპერატორთა შესამოსელზე. თავის მხრივ საინტერესოა აღმოსავლური სამოსის ელემენტის - ცრუ სახელოსა და ბიზანტიის იმპერატორთა ჩაცმულობისთვის

[9]რელიეფი ჩაშენებული იყო სოფ. სადმელში ადგილობრივი მკვიდრის თ. რატიანის საკუთრებაში არსებულ ფერმის შენობის კედელში. შემდგომ გადატანილ იქნა კლდისუბნის ღვთისმშობლის ეკლესიაში. ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

[10] შასხსმ, მონუმენტური მხატვრობის ფონდი, საინვ #228.

დამახასიათებელი ორნამენტული მოტივის - ორთავიანი არწივების შერწყმა. ლევანის ძის შემთხვევაში კი ოქრისფერი ქსოვილის სახეს წითელი კონტურით გამოყვანილი გრეხილ-ღეროვანი მცენარეული ორნამენტული მოტივი ქმნის (სურ. 8).

ასეთივე სახის სახელოთა წყობას ვხედავთ XVI ს-ში, ათონის მთაზე ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზოსა და მატანას ცხრაკარას მონასტრის მხატვრობაში წარმოდგენილ ლევან მეფისა და მისი ძის გამოსახულებებზე. მხოლოდ, ამ ორივე შემთხვევაში ის არა კაბა, არამედ მოსაცმელია. სატრაპეზოს გამოსახულებებზე კოჭებამდე სიგრძის მოსაცმელი შუაში ისეა ჩახსნილი, რომ გარკვევით ჩანს შიდა, ბუზმენტებით გაწყობილი კაბის ცენტრალური არე. ცრუ სახელოს სიგრძე თითქმის მოსაცმელის ძირამდე მიუდის. ლევან მეფის მეწამულისფერი ქსოვილის ზედაპირზე რტო-ყვავილოვანი ორნამენტი ოქროთია დაფერილი. მეწამულისფერი კონტურით არის გამოყვანილი გრეხილ-ღეროვანი მცენარეული ორნამენტული მოტივი ალექსანდრეს სამოსის ქსოვილზე (სურ. 9[11]). ორნამენტის ეს მოტივები, ისევე როგორც სამოსის ტიპი სპარსულ ძეგლებთან ჰპოვებს პარალელს.

ორმაგსახელოიანი მოსაცმელის ნიმუშს ვხედავთ წალენჯიხაშიც, მაცხოვრის ეკლესიის ლევან I დადიანის ეგვტერის XVI ს-ის მხატვრობაში, უცნობი მამაკაცის ფიგურაზე. ხელი, მკლავიან სახელოში აქვს გაყრილი, ხოლო ცრუ სახელო იღლიის ქვეშ მუხლამდეა დაშვებული (სურ. 10[12]).

ორმაგსახელოიანი სამოსი მრავლად გვხვდება XV-XVI სს-ის თურქულ მინიატურებზე. სულთნები ორმაგსახელოიანი მოსაცმელებით წარმოგვიდგებიან, მათი ქვეშევრდომები კი კაბებით, რომელთა ცრუ სახელოებიც ხშირ შემთხვევაში შედარებით მოკლეა.

როგორც აღვნიშნეთ, XI-XV სს-ის განმავლობაში ცრუსახელოიანი მოსასხამები, სავარაუდოდ გამოდის ხმარებიდან. აღნიშნულ პერიოდში, ჩვენთვის მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი. კავკასიძეების ციხის XIII ს-ის II ნახევრის ეკლესიის მოხატულობაში, ახლად აღმოჩენილ ქალის ფრაგმენტულ ფიგურას, სავარაუდოდ სწორედ ცრუსახელოიანი მოსასხამი უნდა ცმოდა[13]. XV ს-დან კი სამოსის ეს სახეობა კვლავ შემოდის ხმარებაში, მხოლოდ რამდენადმე სახეცვლილი სახით. ეს გახლავთ ძვირფასი ქსოვილის, ბეწვის სარჩულიანი, სწორად დაშვებული, გრძელი მოსასხამები, თეძომდე ან ქობამდე სიგრძის ვიწრო, ცრუ სახელოებით. უმეტესწილად ბეწვის საყელო მხრებზე ფართოდ ეფინებათ. კიდეებს რიგ შემთხვევაში ძაღარა შემოსდევს, რიგ შემთხვევაში კი ოქროსფერი, ორნამენტირებული და მარგალიტებით გამშვენებული საოლველი. მოსასხამები ან კაბის სიგრძისაა ან ოდნავ მოკლეა.

XV-XVI სს-ის მიჯნის ძეგლებზე ამ ტიპის სამოსით უმეტესწილად მანდილოსნები წარმოგვიდგებიან. მოსასხამის ქსოვილი ყველა შემთხვევაში სახიანია. ფერადოვან გამაში მეწამულისფერი და ყვითელი დომინირებს. ქსოვილის სახეს გეომეტრიული ორნამენტები ქმნის. უმეტესად სჭარბობს ოთხკუთხედებისა და რომბებისაგან შედგენილი ბადის ორნამენტული სახეები, რომელიც ხშირ შემთხვევაში დამატებითი ელემენტებით არის გამშვენებული. გვხვდება კონტურების გადაკვეთის ადგილებზე მართობულად ან ჯვრისებრ

[11] ფოტო ირაკლი თეზელაშვილისა.

[12] სჯსსსმ, ფრესკის პირების ფონდი, საინვ.#2944.

[13] ჩანკვეტაძე, 2023: VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენება - „კავკასიძეების ციხის ეკლესიის მოხატულობა (პირველადი დაკვირვებები).

დასმული შტრიხები, შუაში აქცენტირებული წითელი წერტილებით. ასევე, კლაკნილები, წრეები, შიდა არეზე კი, სამკუთხად განთავსებული წერტილები. ხშირად გვხვდება ასევე, სხივისებრი რკალებით გარშემოვლებული, ერთიმეორეში ჩაწერილი ორი ოვალისაგან შემდგარი ორნამენტული სახე. ამის მაგალითია ლეხთაგის, ლამარიას (ღვთისმშობლის მიძინების) ეკლესიის სამხრეთ კედელზე „მჯაფარასძისა ასული ჯიმალში“ და „ჟურჟუის ასული პირნათელი (XV ს-ისმიწურულიი) (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 250), ჭალაში, წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე - აბაშ და ლომინ აბაშიძეთა მეუღლეები (სურ. 11[14]), ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიაში ქტიტორი მანდილოსნები ლაშხიშვილთა საგვარეულოდან და სხვ (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 243, 244). ასეთივე მოსასხამებს ვხვდებით დედოფალთა გამოსახულებებზე გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი ეგვტერის დასავლეთ კედელზე (XIV-XV სს.) (გელათი, 2007: 93, 94).

ცრუსახელოიანი მოსასხამები აქტიურად შემოდის ხმარებაში XVI-XVII სს-ში და მამაკაცის კოსტიუმის კომპლექტშიც იმკვიდრებს ადგილს. მოსასხამთა ნაწილი უსაყელოა, მრგვალი გულისპირის მქონე, ნაწილი კი საყელოიანი. XVII ს-ში მხრებზე დაფენილი ბეწვის საყელოების გვერდით ჩნდება დაბალი, დამდგარი საყელოები, შემკული მარგალიტების ორმაგი რიგით ან დამატებით რომბისებრი ორნამენტით. მაგ., წალენჯიხაში, მაცხოვრის ეკლესიის ეგვტერებში წარმოდგენილ ალექსანდრე დადიანის (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 267), გიორგი I ლიპარტიანის (სურ. 12), ლევან II დადიანის, მარიამ მანუჩარის ასულ დადიანისა (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 268) და სხვ. საყელოები.

XVII ს-ში მამაკაცთა კაბები შედარებით მოკლდება და შუა წვივამდე მიუდის. მოსასხამები კვლავ კაბის სიგრძისაა ან ოდნავ მოკლეა.

მოსასხამებს მხრებზე თავისუფლად მოსხმული სახით ატარებდნენ. XVII ს-ის რამდენიმე ძეგლზე კი გვხვდება, შუაში, ერთი ღილით შეკვრის მაგალითი. მაგ., ზარათში, წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაში (XVII ს I-ლი ნახევარი) უცნობ ქტიტორთა ჯგუფში გამოსახულ მამაკაცთა ფიგურებზე, ასევე სვეტიცხოვლის კათედრალის მხატვრობაში ოტია გურიელის გამოსახულებაზე (XVII ს40-ნი წწ.) (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 311, 293) და სხვ.

თვალმარგალიტით შემკული ცხრა ღილი მიუყვება წალენჯიხაში, მაცხოვრის ეკლესიის ლევან II დადიანის ეგვტერში (1614-1621 წწ) გამოსახულ გიორგი I ლიპარტიანის მხრებზე თავისუფლად მოსხმული ცრუსახელოიანი მოსასხამის მარჯვენა კიდეს წელამდე, ხოლო საპირისპირო კიდეს კი ამდენივე ღილკილო (სურ. 12[15]). შედარებით მცირე ზომისაა აქვე წარმოდგენილი მარიამ მანუჩარის ასულ დადიანის ცრუსახელოიან მოსასხამზე ოქროსფერი ღილები, შუაში მცირე ზომის თითო მწვანე თვალით.

XVII ს-ში მოსასხამებს გულმკერდის არეში ბუზმენტები ემატება. მარტვილის, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში კაცია ჩიქვანისა და გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის (XVII ს 40-ნი წწ.) მოსასხამებს ექვს რიგად განთავსებული ბუზმენტები ამკობს, რომელთაგანაც ზედა წყვილი ფიგურული ფორმისაა. კაცია ჩიქვანის შემთხვევაში, თვალმარგალიტით შემკული ბაფთისებური ფორმის ზედა ბუზმენტი სამაგრის ფუნქციას ასრულებს. დანარჩენი ხუთი, ჰორიზონტალურად განთავსებული ვიწრო, მართკუთხა ფორმის ბუზმენტია, რომელიც გარე

[14] სჯსსსმ, ფრესკის პირების ფონდი, საინვ.# 19-65/1.

[15] სჯსსსმ, ფრესკის პირების ფონდი, საინვ.#2939.

კიდეებში სამკუთხედისებრ არის წაწვეტებული (სურ. 13[16]). გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის შემთხვევაში პირველი ფიგურული ბუზმენტი გულისებრი ფორმისაა, რომელსაც ირგვლივ მარგალიტის რიგი შემოსდევს, მის ზედაპირს მცენარეული ოქროსფერი ორნამენტი ამკობს, წაწვეტებულ კიდეზე კი ფოჩია ჩამოკიდებული. ასეთივე ფოჩები აღინიშნება დანარჩენი მართკუთხა ფორმის ბუზმენტების გარე კიდეებზეც. მათ ზედაპირზე კი მკრთალად განირჩევა გეომეტრიული ორნამენტის კვალი. მოსასხამი ამ შემთხვევაში საყელოს არეში, მცირე ზომის დუგმით იკვრება (სურ. 14[17]).

მარტვილის ტაძარში ასევე აღსანიშნავია მარიამ დადიანის მოსასხამი, ოქროსფერი ბუზმენტების ათი წყვილით, რომელთა ზედაპირსაც მარგალიტის რიგი ამკობს, კიდეები კი რომბისებრი ფორმისაა. ცაიშის ტაძრის მხატვრობაში წარმოდგენილ ქტიტორთა პორტრეტებზე წვრილი ბუზმენტების მკრთალი კვალი შემოგვრჩა (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 302, 305, 271).

XVI ს-ში ქსოვილის ორნამენტულ სახეს უმეტესად, კვლავ გეომეტრიული მოტივები ქმნის. გასულ საუკუნესთან შედარებით ორნამენტი გართულებულია, ერთიმეორეს სხვადასხვა გეომეტრიული სახეები ენაცვლება, ფონი კი დამატებითი დეტალებით ივსება. მოტივები სიბრტყისადმი დახრილად ლაგდება (აბჟანდაძე, 1972: 91) .

XVII სს-ში მოსასხამებად გამოიყენება როგორც სადა, ასევე სახიანი ქსოვილები. ფერადოვან გამაში თეთრი და მეწამულისფერი სჭარბობს. გვხვდება ოქროსფერი და მწვანე ფერებიც.

XVII ს-ში უპირატესობა მცენარეულ ორნამენტულ მოტივს ენიჭება. მათ შორის რტო-ყვავილოვანს, ყვავილის მთლიანი ძირებისაგან შედგენილსა და გრეხილ-ღეროვანს.

გრეხილ-ღეროვანი მოტივი ვერტიკალურ რიგებად იშლება ქსოვილის ზედაპირზე. გრეხილი ღეროების მოძრაობა თანმიმდევრულად და ჰარმონიულად მიყვება ერთმანეთს. ეს მოტივი ხშირად ამშვენებს მოსასხამის საოლველს. აღნიშნულ პერიოდში ხშირია ყვავილის მთლიანი ძირებისაგან შედგენილი მოტივები, მათ შორის დიდი პუპულარობით, მიხაკისა და შროშანის ყვავილები გამოირჩევა.

XVI-XVII სს-ში ცრუსახელოიანი მოსასხამები არამარტო დიდგვაროვანთა კოსტიუმის შემადგენელი ნაწილია, არამედ, სამეფო კოსტიუმისაც. მას ბიზანტიური ტიპის სამეფო სამოსით - ბისონითა და ლორონით წარმოდგენილ მეფეთა გამოსახულებებზე ვხედავთ. მაგ., გელათის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ეგვტერში, მეფედ კურთხევის სცენაში ბაგრატ III ლორონითა და ძოწისფერი, ცრუსახელოიანი მოსასხამით არის გამოსახული (გელათი, 2007: 100). ასევეა, წარმოდგენილი სვეტიცხოველში, ვახტანგ გორგასალი, კათალიკოსისათვის მიტრის გადაცემის სცენაში (XVII ს-ის II ნახევარი), წალენჯიხაში, ლევან II დადიანი ოჯახის საქტიტორო კომპოზიციაში (ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 294, 269), 1708 წლის ხელნაწერის ილუსტრაციაზე მეფე თეიმურაზ I (კლდიაშვილი, 2011:100) და სხვ.

სამეფო მოსასხამი პორფირი, ლორონის გარეშე მეფედ კურთხევის რიტუალის მომცველ რამდენიმე ხელნაწერში - ,,ცხოვრება მეფეთ მეფესი დავითისი" (XII ს) და „წესი და განგება მეფედ კურთხევისა“-ში (XIII ს-ის I ნახევარი) სამეფო ნიშნებს შორის სახელდება. XVIII ს-ში თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხვის რიტუალის აღწერაში კი პორფირი ლორონთან ერთად არის მოხსენიებული (ორბელიანი, 1981: 101). ბიზანტიაში არსებული წესის თანახმად ლორონის პორფირთან ერთად ტარება, არ შეიძლებოდა (Кондаков, 1929: 225). XI-XV ს-ის

[16] სჯსსსმ, ფრესკის პირების ფონდი, საინვ.#3072.

[17] სჯსსსმ, ფრესკის პირების ფონდი, საინვ.# 3074.

მანძილზე ლორონის გარეშე, მხოლოდ პორფირით, სუმბატ აშოტის ძის ფიგურაა შემოსილი, ატენის სიონის მოხატულობაში. XVI ს-ში, გელათში, ბაგრატ III-ის გამოსახულების მიხედვით, სადაც ის ლორონითა და მოსასხამით წარმოგვიდგება, ეს წესი უგულებელყოფილი ჩანს. ასევე, XVIII ს-შიც თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხვის რიტუალის აღწერაში სამეფო ინსიგნეებს შორის პორფირიც და ლორონიც სახელდება (ორბელიანი, 1981: 101). სამეფო კოსტიუმში ამ ელემენტის დამატება, შესაძლოა, ერთი მხრივ, ახალი მოდის ტენდენციებით იყო განპირობებული, მეორე მხრივ, კი ბიზანტიურ ძოწისფერ მანტიასთან უნდა ჰპოვებდეს კავშირს და ხაზს უსვამდეს ბიზანტიურ სამყაროსთან ერთგულებას.

სულხან-საბა ორბელიანი პორფირს შემდეგნაირად განმარტავს - „სისხლის-ფერობა... მეფეთა და მღვდელთ-მთავართა სამოსელი, რათა დასთხიონ სისხლი მათი, ვითარცა ქრისტემან ერისთვის“ (სულხან-საბა ორბელიანი. 1991: 628); ი. აბულაძე - „ძოწეულით“ განმარტავს (აბულაძე, 1973: 342), დ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი, ეს არის „მეწამული სამეფო მანტია“ (ჩუბინაშვილი, 1984: 1022).

საერო პირთა პორტრეტების მიხედვით უმეტესად სწორედ ძოწისფერი მოსასხამები სჭარბობს. ბიზანტიური სამეფო კოსტიუმით წარმოდგენილ პირთა გარდა ცრუსახელოიან მოსასხამებს ვხედავთ საერო, საზეიმო სამოსით წარმოდგენილ მეფეთა ფიგურებზეც. მაგ., გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ნართექსში - იმერთა მეფე ალექსანდრე III და დედოფალი ნესტან-დარეჯანის გამოსახულებაზე (XVII ს) (გელათი. 2007: 77), სვეტიცხოვლის გარდამოხსნებზე - ქართლის დედოფალი მარიამისა (1632/33-1680-82 წწ) და ვახტანგ V-ის ასული თამარის (1678/79-1694/95 წწ.) ფიგურებზე (ბარათაშვილი გ., ბერელაშვილი ე., კეცხოველი, მ. და სხვ. 2011: 53, 55), სვეტიცხოვლის კათედრალის მოხატულობაში ქართლის დედოფალ მარიამ დედოფალისა და მისი ვაჟი ოტია გურიელის (XVII ს 40-იანი წწ.) გამოსახულებებზე (ჩიხლაძე, გველესიანი, დათუნაშვილი, 2017: 293) და სხვ.

გვიანფეოდალური ხანის ქართული ჩაცმულობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან უცხოელი მოგზაურები და ქართველი მემატიანეები.

ოდიშის სამთავროში მოღვაწე იტალიელ მისიონერ არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, „მეგრელები წვეულებასა და დღესასწაულებზე იცვამენ კიდევ ერთნაირ ტანისამოსს, რომელიც ფეხებამდის გრძელია და ყურთმაჯები მიწამდის უწვდება. ეს ტანისამოსი მეტად მშვენიერია როგორც მოყვანილობით, აგრეთვე მდიდრული ქსოვილით, რომლისგანაც იკერება. ჰკერავენ ამ ტანისამოსს დამასკის ქსოვილისა ან ხავერდისა და ფარჩისაგან. სარჩულად უდებენ სამურის ტყავსა და მაღლიდან ქვედამდი შემკულია ოქროს ან მარგალიტის ღილებით...“ (ლამბერტი, 1938: 38-41).

ჟან შარდენის გადმოცემით სპარსეთში „გრძელსა და სახელოებიან ... სამოსს კადები, ანუ ქათიბი ეწოდებოდა. ზედატანი კაბასავით ყოფილა გამოჭრილი, ე.ი ქვემოთკენ - ფართო და ზემოთ - ვიწრო, ზარივით. იგი მაუდის ან ფარჩის ოქროქსოვილისაგან იკერებოდა, ან მსხვილი სატინისა იყო, რომელსაც გააწყობდნენ ხან არშიით, ოქროსა თუ ვერცხლის თასმებით, ხან ნაქარგებით. მათ გამოკრული ჰქონიათ... ზოგს სათათრეთისა და ბაქტრიის ბატკნის ქურქი, რომლის ბეწვი თმაზე უფრო წმინდა არის... ქურქის ქვეშ კუდიანი შესაკრავების წყება ჰქონიათ, უფრო სამშვენისად, ვიდრე გამოსაყენებლად, რადგან იშვიათად იკრავენ ზედატანს“ (შარდენი, 119). მიუხედავად იმისა, რომ ავტორი სახელოს სიგრძეს არ აკონკრეტებს, ვფიქრობთ აქაც დიდი ალბათობით სწორედ ცრუსახელოიანი ქათიბი უნდა იგულისხმებოდეს.

ივ. ჯავახიშვილი ბეწვის სარჩულიან სამოსს ქათიბის სახელწოდებით მოიხსენიებს. მისივე აღნიშვნით, ქათიბი არაბულად მწერალს ნიშნავს. ის თავდაპირველად, მოხელეთა ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო. მწიგნობრებს ეცვათ და შემდეგ სამოხელეოდ იქცა (ჯავახიშვილი, 1962: 118).

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონში ცალკე არ განმარტავს ტერმინ ქათიბს და მას ტერმინ თაგალასთან აიგივებს (სულხან-საბა ორბელიანი. 1993: 294), თაგალა კი უბეწო ქათიბად განიმარტება (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი მოხსენიებულია როგორც ქალთა ბეწვშემოვლებული ხავერდისა ზედა ტანსაცმელი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1990: 983).

ქათიბი ხშირად იხსენიება მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა მზითვის წიგნებში როგორც ზამთრის ზედა, დაბეწვილი ტანსაცმელი: მაგ., ქსნის ერისთავის ასულ ანას მზითვის წიგნში (XVII ს.) ორი ქათიბია ნახსენები: „ერთი ქათიბი დიბისა, კურდღელს აკრავს, ერთი ქათიბი ხალასად შეკერილი შავ სიასამურს აკრავს, მისის სამის ოქროს ხრიკითა“ (იაშვილი, 1974: 39).

XVII-XVIII სს-ში, უმთავრესად, დასახელებულია ისპაანის დიბის ქათიბები ე.წ. ქურთუბაღებიანი შესაკრავებით (იაშვილი, 1976: 58).

მართალია, ქათიბების აღწერისას გრძელი სახელოების არსებობის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ ნიმუშებზე სწორედ გრძელი ცრუ სახელოები აღინიშნება.

ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი შედარებით გვიანდელი (XVIII ს-ის II ნახევრის) ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს მთიან მხარეს უკავშირდება და ხევსურული ცრუსახელოიანი მოსასხამის მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ასეთი სახის ორი უნიკალური ნიმუში ინახება, რომელსაც საპატარძლო ჩაცმულობის ძველ ფორმად მიიჩნევენ (ბეზარაშვილი, 1974: 60). გადმოცემის თანახმად, ძველ ხევსურეთში 16-17 წლის ასაკის ქალებს აუცილებლად უმზადებდნენ ამ სახის სამოსს (მოლოდინი, ჩაჩაშვილი, 1964: 19, 20).

ძველად თუშეთშიც ორი სახის ცრუსახელოიანი საქალო ტყავკაბა იყო ცნობილი (სურ. 15). ერთ მათგანს მხოლოდ მოსასხამის სახით იყენებდნენ, ვინაიდან მის ვიწრო და გრძელ სახელოებს პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა. მეორე სახეობის ცრუ სახელო კი იღლიიდან იდაყვამდე იყო ჩახსნილი. სახელოებს წელთან დაკერებულ ღილებზე იმაგრებდნენ ან მხრებზე გადაწყობილი სახით ატარებდნენ (ბეზარაშვილი, 1974: 47).

ცრუსახელო XIX ს-ის ბოლომდე შემორჩა ქართულ სამოსს, მაგ., აღმოსავლეთ საქართველოში XVIII-XIX სს-ში, დიდგვაროვანი მამაკაცები, უმთავრესად, ყურთმაჯიანი, ჩვეულებრივზე გრძელი და განიერსახელოიანი კაბით იმოსებოდნენ. მომრგვალებული ან წაწვეტებული ყოშით დასრულებულ ცრუ სახელოში ხელი იშვიათად ეყრებოდა და ხშირად მხრებზე ჰქონდათ აკეცილი (მელიქიშვილი, ნადირაძე, ტოგონიძე, 2013: 52-59, 136-138).

ყურთმაჯიანი კაბის მსგავსი იყო რაჭველი ქალის ზედა სამოსელი - „კაფთარი“. მისი თავისებურება დეკორატიულად ქცეული სახელოების ტარების წესში ვლინდებოდა. თავსაბურავის დახურვის შემდგომ, კაფთარის სახელოებს გულთან გაინასკვავდნენ, თავზე გადაიტარებდნენ და ზურგზე მოათავსებდნენ (Браилашвили,1959: 136).

ცრუსახელოიანი იყო ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ქალთა მუხლამდე სიგრძის ქათიბები (სურ. 16). ასეთივე სიგრძის გახსნილი, ცრუსახელოებიც ყოშებით სრულდებოდა.

გრძელი, შიგნიდან მთლიანად შეხსნილი სახელო ჰქონდა აჭარულ ელეგსაც (მელიქიშვილი, ნადირაძე, ტოგონიძე, 2013: 52-59, 136-138) და სხვ.

საქართველოში გავრცელებული ცრუსახელოიანი სამოსი კავკასიური და შუა აზიური ხალათისებური ტიპის წამოსასხამების მსგავსია, რომელსაც ხან თავსაბურავის ელემენტად, ხან კი სამხრე სამოსად იყენებდნენ. მსგავსი მოსასხამების არსებობა დასტურდება დაღესტანშიც. „დაღესტნელებს მხრებზე წამოსხმული „ტყავები“ თითქმის ფეხებამდე სწვდებოდათ და სახელოები ისეთი ვიწრო იყო, რომ შიგ ხელი არ ეტეოდა“ (ნანობაშვილი, 1973: 147; ჯავახიშვილი, 1962: 6).

ამრიგად, ქართული კოსტიუმის კომპლექტში ცრუსახელოიანი სამოსის გაჩენა იმთავითვე აღმოსავლურ სამყაროს უკავშირდება. VI ს-დან მოყოლებული - XI ს-მდე, და შემდგომ XIII-XIV სს-ის მიჯნიდან - XIX ს-მდე ქართული კოსტიუმის მნიშვნელოვანი სახასიათო ელემენტია. თავიდანვე, ის დიდებულთა შესამოსელის განმასხვავებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო, ხოლო მოგვიანებით, XIX ს-ის ეთნოგრაფიულ ყოფაში რიტუალური დანიშნულების სამოსის ნაწილიც ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

აბჟანდაძე, დ. (1972). XV-XVIII სს. ქსოვილთა ორნამენტი ქართული მინიატურების მიხედვით. *მაცნე.* #3. გვ. 73-94.

ბეზარაშვილი, ც. (1974). *ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბარათაშვილი გ. ბერელაშვილი ე. კეცხოველი, მ. და სხვ. (2011). *ქართული ნაქარგობა.* თბ.: გამომცემლობა „ქარჩხაძე“.

გაგოშიძე, გ. ჩიხლაძე, ნ. (2006). *დირბის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი.* თბ.: გამომცემლობა „სი-ჯი-ეს“.

გელათი. 2007. თბილისი.

დადიანი, თ. კვაჭატაძე, ე. ხუნდაძე, თ. (2017). *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება.* თბ.: გამომცემლობა „სეზანი“.

იაშვილი, მ. (1974). *მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვი (მზითვის წიგნები).* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“ (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა).

იაშვილი, მ. (1976). *საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (XVII-XIX სს).* თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

კლდიაშვილი, დ. (2011). *მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან.* თბილისი: გამომცემლობა შპს „ფავორიტი პრინტი“.

ლამბერტი, ა. (1938). *სამეგრელოს აღწერა.* ა. ჭყონიას თარგმანი. თბილისი: გამომცემლობა „ფედერაცია, ცეკავშირის სტამბა“.

მაჩაბელი, კ. (2013). *ქართული ისტორიული კოსტიუმი (V-X სს).* თბილისი: გამომცემლობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

მელიქიშვილი, ი. ნადირაძე, ე. ტოგონიძე, ლ. (2013). ქართული ტრადიციული სამოსი XVIII-XX საუკუნეები. თბ.

მოლოდინი, ლ. ჩაჩაშვილი, გ. (1964). *ქართული კოსტუმის კატალოგი. I ხევსურული.* თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ნანობაშვილი, ი. (1973). *ტყავის დამუშავების ხალხური წესები.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ორბელიანი, პ. (1981). *„ამბავნი ქართლისანი“.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

სულხან-სანა ორბელიანი. (1993). ლექსიკონი ქართული. ტ. I, II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1990). თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია“.

შარდენი, ჟ. (1935). *მოგზაურობა საქართველოში.* ვ. ბარნოვის თარგმანი. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.

ჩიტიშვილი, ნ. (2013). რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძრის რელიეფი. *საისტორიო კრებული.* ტ. 3. გვ. 292-293.

ჩიხლაძე, ნ. დათუნაშვილი, ნ., გველესიანი, მ. (2017). *ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი.* თბ.

ჩოფიკაშვილი, ნ. (1964). *ქართული კოსტუმის ისტორია (VI-XIVსს).* თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“.

ჯავახიშვილი, ივ. (1962). *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

*ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. (*1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილით ჟორდანიას მიერ. წ. 2, ტფილისი.

Альбаум, Л. (1960). Баллалык-Тепе.Ташкент.

Браилашвили, Н. (1959). Женскии костюм горной рачи. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.* ტ. X. გვ.133-139.

Кондаков, Н. (1929). *Очерки и заметки по истории средневекового искусства и культуры.* Прага. Изд. „Чешцкой академии наукъ и искусствъ“.

Руденко, С. (1952). *Горноалтайские находки и скифы.* Изд. „Академии Наук СССР Ленинград“.

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.

REFERENCES

abuladze, i. (1973). *dzveli kartuli enis leksik'oni [dictionary of the old Georgian language]*, Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

abzhandadze, d. (1972). XV-XVIII ss. ksovilta ornament'i kartuli miniat'urebis mikhedvit according to Georgian miniatures [Txtile ornament of the 15th-18th cc according to Georgian miniatures]. *matsne.* #3. gv. 73-94.

bezarashvili, ts. (1974). *kalis samoseli aghmosavlet sakartvelos mtianetshi. [women clothing in the mountains of east Georgia].* Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

baratashvili g. berelashvili e. k'etskhoveli, m. da skhv. (2011). *kartuli nakargoba [georgian embroidery].* Tb.: gamomtsemloba „karchkhadze“.

gagoshidze, g. chikhladze, n. (2006). *dirbis ghvtismshoblis midzinebis monast'eri [the monastery of Dormition at Dirbi].* Tb.: gamomtsemloba „si-ji-es“.

gelati [gelati]. 2007. Tbilisi.

dadiani, t. k'vach'at'adze, e. khundadze, t. (2017). *shua sauk'uneebis kartuli kandak'eba [medieval Georgian sculpture].* Tb.: gamomtsemloba „sezani".

iashvili, m. (1974). *masalebi sakartvelos sotsialur-ek'onomiuri ist'oriisatvi (mzitvis ts'ignebi) [materials for socio-economic history of Georgia (dowry books)].* Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba" (sak. ssr metsn. ak'ademiis st'amba).

iashvili, m. (1976). *sakartvelos mat'erialuri k'ult'uris ist'oriidan (XVII-XIX ss) [from the history of Georgian material culture (XVII-XIX cc)].* Tbilisi. gamomtsemloba „metsniereba".

k'ldiashvili, d. (2011). *mokhat'uli ist'oriuli dok'ument'ebi sakartvelos sidzveletsatsavebidan [Illuminated historical documents in the Depositories of Georgia].* Tbilisi: gamomtsemloba shp's „pavorit'i p'rint'i".

lambert'i, a. (1938). *samegrelos aghts'era [description of Samegrelo].* a. ch'qonias targmani. Tbilisi: gamomtsemloba „pederatsia, tsek'avshiris st'amba".

machabeli, k'. (2013). *kartuli ist'oriuli k'ost'iumi (V-X ss) [Georgian historical costume (5th-10th cc)].* Tbilisi: gamomtsemloba sakartvelos k'ult'urisa da dzeglta datsvis saminist'ro.

melikishvili, i. nadiradze, e. t'ogonidze, l. (2013). *kartuli t'raditsiuli samosi XVIII-XX sauk'uneebi [georgian traditional clothing of the 18th –20th cc.].* Tb.

molodini, l. chachashvili, g. (1964). *kartuli k'ost'umis k'at'alogi. I khevsuruli [catalog of Georgian costume. I Khevsurian].* Tb.: gamomtsemloba „metsniereba".

nanobashvili, i. (1973). *t'qavis damushavebis khalkhuri ts'esebi [traditional leather manufacturing rules].* Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba".

orbeliani, p'. (1981). *„ambavni kartlisani" ["story of Kartlisani"].* t'ekst'i gamosatsemad moamzada e. tsagareishvilma. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba".

sulkhan-sana orbeliani. (1993). *leksik'oni kartuli [georgian dictionary].* t'. I, II. Tbilisi: gamomtsemloba „merani".

kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [explanatory dictionary of the Georgian language]. (1990). Tbilisi: gamomtsemloba „kartuli entsik'lop'ediis mtavari sametsniero redaktsia".

shardeni, zh. (1935). *mogzauroba sakartveloshi [Travel to Georgia].* v. barnovis targmani. Tbilisi: gamomtsemloba „sakhelgami".

chit'ishvili, n. (2013). ruisis peristsvalebis sak'atedro t'adzris reliepi [tympanum Relief of the Cathedral Church of the Transfiguration in Ruisi]. *saist'orio k'rebuli.* t'. 3. gv. 292-293.

chikhladze, n. datunashvili, n., gvelesiani, m. (2017). *dzveli sakartvelos monument'uri mkhat'vroba da misi moamageni [old Georgian Monumental Painting and its Guardians].* Tb.

chopik'ashvili, n. (1964). *kartuli k'ost'umis ist'oria (VI-XIVss) [georgian Historical Costume (5th-10th cc)].* Tbilisi: gamomtsemloba „sakartvelos ssr metsnierebata ak'ademia".

javakhishvili, iv. (1962). *masalebi kartveli eris mat'erialuri k'ult'uris ist'oriisatvis [materials for the material culture of Georgian nation].* Tbilisi: „sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba".

kronik'ebi da skhva masalebi sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa [chronicles and other materials about Georgian history and writings]. (1897). shek'rebili, kronologiurad dats'qobili da akhsnilit zhordanias mier. ts'. 2, T'pilisi. Al`baum/ L.I. (1960).

Al'baum, L. (1960). *Ballalyk-Tepe [Balalyk-Tepe].*Tashkent.

Brailashvili, N. (1959). Zhenskii kostjum gornoj rachi [Women's costume of mountainous racha].

masalebi saqartvelos etnografiisatvis. ტ. H. გვ.133-139.
Kondakov, N. (1929). *Ocherki i zametki po istorii srednevekovogo iskusstva i kul'tury [Essays and notes on the history of medieval art and culture].* Praga. Izd. „Cheshckoj akademii nauk# i iskusstv#“.
Rudenko, S. (1952). *Gornoaltajskie nahodki i skify [Gornoaltai finds and Scythians].* Izd. „Akademii Nauk SSSR Leningrad“.
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.

შემოკლებათა განმარტება

სჯსსსმ - სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.
შასხსმ - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.
საინვ. #- საინვენტარო ნომერი.

Explanation of abbreviations

SJSSSM - Simon Janashia Georgian State museum
SHASKHSM – Shalva Amiranashvili State Museum of Fine Art
Inv.#- Inventory Number

ილუსტრაციების სია

1. სტელის ფრაგმენტი. IV ს.დმანისი (ბაშქიჩეთი), ქართლი.
2. მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადის რელიეფი. VI-VII სს. ქართლი.
3. მეფის გამოსახულება. ტბეთი. თურქეთი.
4 - 5. აღმოსავლეთი ფასადის რელიეფები. X ს. ატენის სიონი, ქართლი.
6. სტელის ფრაგმენტი. X ს. რაჭა.
7. შერგილ დადიანის მეუღლე ნათელი. XIII-XIV სს-ის მიჯნა. სამხრეთ-დასავლეთი ეგვტერი. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. ხობი, სამეგრელო.
8. ლევან კახთა მეფის ოჯახის საქტიტორო კომპოზიცია. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ნეკრესი, კახეთი.
9. ლევან კახთა მეფე და მისი ძე ალექსანდრე. ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზო. ათონის მთა.
10. აფაქიძის გვარის უცნობი ახალგაზრდა ქტიტორი. 1533-1550 წწ. ლევან I დადიანის ეგვტერი, მაცხოვრის ეკლესია. წალენჯიხა, სამეგრელო.გ. ერისთავის ასლი, 1938 წ.
11. აბაშ აბაშიძის ოჯახის საქტიტორო კომპოზიცია. XV-XVI სს-თა მიჯნა. წმ. გიორგის ეკლესია. ჭალა, იმერეთი. ტ. შევიაკოვასა და მ. შეიბლერის ასლი. 1969 წ.
12. მამია დადიანის ძე გიორგი I ლიპარტიანი. 1614-1621 წწ. ლევან II დადიანის ეგვტერი, მაცხოვრის ეკლესია. წალენჯიხა, სამეგრელო. გ. ერისთავის ასლი.
13. კაცია ჩიქვანი და მისი ძე. 1670 წ. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მარტვილი, სამეგრელო. მ. მიქელაძე-ბაგრატიონის ასლი. 1939 წ.
14. გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანი. 1670 წ. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მარტვილი, სამეგრელო. მ. მიქელაძე-ბაგრატიონის ასლი. 1937 წ.
15. თუშები. დ. ერმაკოვის ფოტო.
16. ქათიბი. XIX ს. ქართლი.

Illustrations

1. Fragment of a stela. 6th c. Dmanisi (Bashkicheti), Kartli.
2. The relief of the eastern facade of the Hoy Gross in Mtskheta. 6th -7th cc. Kartli.
3. Image of the king. Tbeti.
4. -5. East facade reliefs. 10th c. Atheni Sion. Kartli.
6. Fragment of a stela. 10th c. Racha.
7. Spouse of the donor Shergil Dadiani Nateli. The late of 13th - early 14th cc. Church of Dormition of Virgin Mary, Khobi, Samegrelo.
8. Levan the King of Kakheti, his wife and son.// Group portrait of the King Levan of Kakheti family. 16th c. Church of the Dormition, Nekresi, Kakheti.
9. Levan the King of Kakheti and his son. 16th c. Philoteos Monastery refectory. Mount Athos.
10. Unidetified young of the Apakidze family. 1553-1550. Chapel of levan I Dadiani, church of Our Saviour. Tsalenjikha, Samegrelo. Copy by G. Eristavi, 1938.
11. Group Portait of the Abash Abashidze family. The late 15th – 16th cc. Church of St George. Chala, Imereti. Copy by T. Shevyakova and M. Sheibler. 1969.
12. Portait of the donor Giorgi I Lipartiani the son of Mamia Dadiani. 1614-1621. Chapel of Levan II Dadiani, Church of our Savior. Tsalenjikha, Samegrelo. Copy by G. Eristavi, 1938.
13. Portait of the Katsia Chikvani and his son. 1670 s. Church of the Dormition. Martvili, Samegrelo. Copy by M.Mikeladze-Bagrationi, 1939.
14. Portait of the Giorgi Lipartian-Chikvani. 1670 s. Church of the Dormition. Martvili, Samegrelo. Copy by M.Mikeladze-Bagrationi, 1937.
15. Tushebi. D. Ermakov's photo.
16. Khatibi. 19th c. Kartli.

1.

2.

3.

4. 

5. 

6.

7.

8.

9.

10.

11.

12.

13.

14.

15.

16.